ყველაზე დიდი ანგარიში სეზონში

მარცხენა გარემარბმა ცაგარეიშვილმა მიიღო გადაცემა, სწრაფად გაიჭრა წინ, მაგრამ ბურთიანად გადასცდა პირით ხაზს. წუთის შემდეგ იგი კვლავ გავიდა კართან, დაარტყა და ოდნავ ააცილა მას, ხოლო მალე დრიბლინგით გასცდა თავის დარაჯს იაზვეცკის, მერე ეროშინს (№3) და დაბალი ბურთი გაგზავნა კარში. ანგარიში გაიხსნა. ყველაფერი ეს მოხდა 4 აგვისტოს თბილისის "დინამოსა" და ხარკოვის "ლოკომოტივის" შეხვედრის პირველ ოთხ წუთში.

თბილისელებმა კარგად დაიწყეს თამაში. თავდამსხმელები მაშინვე გაიშალნენ მოედნის მთელ სიგანეზე, ბურთი სწრაფად მოძრაობდა მოთამაშეთა შორის, რომლებიც შეუჩერებლივ მოქმედებდნენ თავიანთ ზონებში და მონდომებით უტევდნენ. პირველი 10 წუთის განმავლობაში სტუმრები არ გადმოსცილებიან თავის ნახევარს და 7–8 კაცის შემადგენლობით იცავდნენ კარს. მცველები თუმცა დიდი გაჭირვებით, მაინც უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ მათ მნიშვნელოვნად ურთულებდა საქმეს მეკარე უგრაიცკი, რომელიც ხშირად მოუფიქრებლად ტოვებდა კარს და საჯარიმო მოედანზე ბურთის ხელში აღების ნაცვლად ფეხით თამაშობდა.

"დინამოს" კართან რკინიგზელები პირველად მე–12 წუთზე გამოჩნდნენ. ისინი ერთხანს საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ებრძოდნენ თბილისელთა დაცვას და პონომარენკომ (№7) ერთხელ შეძლო შორი მანძილიდან კარში დარტყმა. ბურთი აცდა კარს. ხარკოველთა თავდამსხმელები ადგილების ხშირი ცვლით ცდილობდნენ "დინამოს" მცველთა ურთიერთმოქმედების დარღვევას, მაგრამ თვითვე ჯგუფდებოდნენ და თავისუფალი ადგილის პოვნის ნაცვლად ერთმანეთს უშლიდნენ ხელს.

მალე ბურთმა კვლავ სტუმრების მხარეს გადაინაცვლა. ტემპიანი კომბინაცია (ანთაძე–ღოღობერიძე–ხასაია–გაგნიძე) უშედეგოდ დამთავრდა. ცოტა ხანში კოტრიკაძე კარგად გავიდა თავის ფლანგზე და ზუსტად გადააწოდა კ. გაგნიძეს, რომელმაც კარში დარტყმა არ დააყოვნა – 2:0. სულ მალე ხასაიას ჰქონდა ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა – იგი შესანიშნავად გავიდა სამ მცველს შორის, მაგრამ კარში არ დაარტყა და მარჯვნივ უსარგებლოდ გადასცა ბურთი.

თბილისელები ერთხანს კიდევ ინარჩუნებდნენ უპირატესობას. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს თავდამსხმელებმა, რომელთაც ხშირად ეხმარებოდა ნახევარმცველი ანთაძე.

ტაიმის დასასრულისათვის დინამოელთა თამაში გაუფერულდა, მოთამაშეები ხშირად მიმართავდნენ უსარგებლო, განივ გადაცემებს, ზედმეტად აწოდებდნენ ერთმანეთს ბურთს. სუსტად თამაშობდნენ ხარკოველები, მათი ტაქტიკური მომზადების დონე დაბალია, ხოლო ტექნიკური სქემა – ერთფეროვანი და ღარიბი. სხვებთან შედარებით გამოირჩეოდნენ პონომარენკო, კოლობუხოვი (№6) და ბორზენკო (№11).

მეორე ტაიმის დასაწყისში ლოკომოტიველებმა ინიციატივის ხელში აღება სცადეს, მაგრამ უკვე მეხუთე წუთზე ანგარიში ოთხამდე გაიზარდა. ჯერ კოტრიკაძემ კართან კარგად გაიყვანა ხასაია, რომელმაც განმეორებით დარტყმით მეკარეს თავს ზემოთ ბურთის გადაცილებით ანგარიში გაზარდა. შემდეგ ცაგარეიშვილის გადაცემა ზუსტად გამოიყენა ღოღობერიძემ და უგრაიცკი იძულებული იყო მეოთხედ გამოეტანა ბურთი კარიდან.

ხარკოველთა რიგებს დეზორგანიზაცია დაეტყო. ისინი ვერ ასწრებდნენ ვერც დაცვაში ვერც თავდასხმაში. მე–9 წუთზე ღოღობერიძე ვერ დააკავეს მცველებმა, იგი დრიბლინგით გავიდა მათ შორის და ხასაიას მიაწოდა. დარტყმა. 5:0.

თამაშმა თანდათან დაკარგა სპორტული ბრძოლის სახე. ლოკომოტიველები არ ცდილობდნენ შეეტანათ გარდატეხა თამაშში და მხოლოდ უგეგმოთ ეწინააღმდეგებოდნენ დინამოელებს.

მაგრამ, როცა თბილისელები სრული შემადგენლობით იყვნენ გადასული "ლოკომოტივის" ნახევარზე, სტუმრების ერთ–ერთმა მცველმა მძლავრად მოიგერია ბურთი. ჩიჟოვი (№9) და კოლობუხოვი პირისპირ შერჩნენ სარჯველაძეს. ჩიჟოვმა ძლიერად დაარტყა კარში. მაღალ ბურთს ვერ მისწვდა კიტია (რომელმაც მე–12 წუთზე შეცვალა მარღანია) და ანგარიში გახდა 1:5.

ხარკოველთა წარმატება ამით ამოიწურა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზუბის (№10) მიერ დარტყმულ ბურთს, რომელიც ძელს მოხვდა.

24–ე წუთზე ცაგარეიშვილმა ხასაიას მოწოდებიდან მეექვსე ბურთი გაიტანა, ხოლო გონგამდე ერთი წუთით ადრე მანვე ზედ პირითი ხაზიდან მეშვიდე ბურთი გაგზავნა კარში.

მატჩი მოიგო თბილისის "დინამომ", ანგარიშით 7:1. ეს ყველაზე დიდი ანგარიშია მიმდინარე სეზონის ჩემპიონატში.

უნდა აღინიშნოს რომ, როცა თბილისელები შეხვედრას იგებდნენ დიდი ანგარიშით, მოედანზე ღოღობერიძის ნაცვლად გამოვიდა თოდრია. უფრო სწორი იქნებოდა მის ნაცვლად გამოსულიყო ახალგაზრდა მოთამაშე, რომლის გამოცდა უფრო კარგ შედეგს მოგვცემდა.

დუბლიორთა შეხვედრაში დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს თბილისელებმა – 8:1.

ვ. ხეცურიანი.

"ლელო", 8 აგვისტო, 1954 წ.